თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 15

„24" აგვისტო 2022 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ალექსანდრე შათირიშვილი;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მედეა ჩაფურიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ.

მომხს. ზ.ლილუაშვილი
12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შათირიშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.ბერძენაშვილმა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მერიამ კორექტირებები შეიტანა 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტში, მიზანშეწონილია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ კვლავ განიხილოს საკითხი საკრებულოს სხდომამდე.

გადაწყვიტეს: 2022 წლის 31 აგვისტოს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.00 სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი

თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.10 სთ-დან - 12.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი

12.30 სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი

თანამომხს. ზ.სახიაშვილი

12.40 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

5. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხს. ნ.მეტრეველი

12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

13.00სთ-დან - 13.10 სთ-მდე

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ.

მომხს. ზ.ლილუაშვილი

12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ზ.ლილუაშვილმა** ბიუროს წევრებს წარუდგინა კომისიის შეფასება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულებასთან დაკავშირებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 202 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.ბერძენაშვილმა** ბიუროს წევრებს წარუდგინა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სხდომის ოქმი სადაც აღნიშნულია, რომ განხორციელდა ფრაქციის თავმჯდომარის ცვლილება ფრაქციის თავმჯდომარედ ნაცვლად ალექსი ძულიაშვილისა არჩეულია ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

<u>გადაწყვიტეს:</u>

1. მიმდინარე წლის 01 აგვისტოდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარედ ბადური რევაზიშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილედ ალექსი ძულიაშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შათირიშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: 2022 წლის 01 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შათირიშვილის შვებულება მიღებულ იქნეს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი